ავტომატიზებული საინვესტიციო მრჩევლის (Robo-Advisory) დანერგვის პერსპექტივები და ინსტიტუციური მზაობა საქართველოს საბანკო-საინვესტიციო ეკოსისტემაში

მარიამი დაუთაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე

ფინანსებში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

დავით მამრიკიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამი დაუთაშვილი.

20.06.2026

აბსტრაქტი

Robo-Advisory ალგორითმზე დაფუძნებული ავტომატიზებული საინვესტიციო მრჩეველი გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე სწრაფად ვრცელდება, თუმცა საქართველოს კონტექსტში ეს ტექნოლოგია შეუსწავლელი რჩება. ნაშრომმა შეისწავლა, მზადაა თუ არა ქართული საბანკო-საინვესტიციო ეკოსისტემა Robo-Advisory სერვისების ინტეგრაციისთვის და რა ფაქტორები განსაზღვრავს მომხმარებელთა მიმღებლობას. კვლევა დაეყრდნო შერეულ მეთოდოლოგიას: 107 რესპოდენტთან ჩატარებულ სტრუქტურიზებულ გამოკითხვას და საბანკო-საინვესტიციო სექტორის ექსპერტებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებს. რაოდენობრივი მონაცემები გაანალიზდა ლოჯისტიკური რეგრესიის, გადაწყვეტილებათა ხისა და KNN ალგორითმის გამოყენებით. შედეგებმა აჩვენა, რომ ქართული ბანკების ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა Robo-Advisory-ის ინტეგრაციისთვის მზადაა (μ=3.935), ხოლო გამოკითხულთა 58.9% სერვისის გამოყენების სურვილს გამოხატავს. ყველაზე მოულოდნელი მიგნება ისაა, რომ მიმღებლობის მთავარი მამოძრავებელი ფინანსური ცოდნა კი არ არის, არამედ ალგორითმული მართვისადმი ფსიქოლოგიური კომფორტია (OR=2.95, p=0.002). მომხმარებელთა 83% ჰიბრიდულ მოდელს ანიჭებს უპირატესობას რაც ადამიანი მრჩეველის და ალგორითმის ერთობლივად მუშაობას გულისხმობს. მთავარ ბარიერად გამოიკვეთა სარეგულაციო ჩარჩოს არარსებობა (μ=2.944) და ნდობის დეფიციტი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სათანადო სარეგულაციო ბაზისა და ნდობაზე ორიენტირებული სტრატეგიის პირობებში Robo-Advisory-ის წარმატებული ინტეგრაცია ქართულ ბაზარზე რეალური პერსპექტივაა.

საკვანძო სიტყვები: Robo-Advisory, ავტომატიზებული საინვესტიციო მრჩეველი, ინსტიტუციური მზაობა, ფინტექი, საქართველო, ჰიბრიდული მოდელი, ნდობა.

Abstract

Robo-Advisory algorithm-driven automated investment advice is expanding rapidly across global financial markets, yet remains largely unexplored in the Georgian context. This study investigates whether Georgia's banking and investment ecosystem is ready for Robo-Advisory integration and what factors shape user adoption. The research employs a mixed-methods design, combining a structured survey of 107 respondents with in-depth expert interviews conducted across the banking and brokerage sector. Quantitative data were analyzed using logistic regression, decision tree, and KNN algorithms. Results indicate that Georgian banks demonstrate solid technological readiness for Robo-Advisory integration (μ=3.935), and 58.9% of respondents expressed willingness to use such services. The most notable finding is that adoption is not driven by financial literacy, but by psychological comfort with algorithmic decision-making (OR=2.95, p=0.002). Furthermore, 83% of respondents preferred a hybrid model combining human advisors with algorithmic tools over full automation. The primary barriers identified are the absence of a dedicated regulatory framework (μ=2.944) and a persistent trust deficit. The study concludes that with appropriate regulatory architecture and a trust-oriented strategy, successful Robo-Advisory integration in the Georgian market is a realistic and achievable prospect.

Keywords: Robo-Advisory, automated investment advisor, institutional readiness, FinTech, Georgia, hybrid model, trust, digital financial services